

გურამ ლეჟავა



დაიბადა 1943 წლის 5 აპრილს, უმაღლესი განათლების სფეროს მუშაკთა ოჯახში. მამა - ბორის ლეჟავა იყო სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანი და მოძრავი შემადგენლობის კათედრის გამგე, თავიდან ამიერკავკასიის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (სპი). დედა - თამარ მესხელი კი მოღვაწეობდა სპი-ს შრომის დაცვისა და მდაროთა ვენტილაციის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე.

თბილისის პირველი საშუალო სკოლის (ამჟამად გიმნაზიის) დამთავრების შემდეგ გურამ ლეჟავამ 1960 წლიდან სწავლა გააგრძელა სპი-ში ახლად გახსნილ რადიოტექნიკის სპეციალობით.

გურამ ლეჟავამ საინჟინრო საქმიანობა დაიწყო სპი-ს წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1966 წელს, იმ დროს თბილისში ორგანიზებულ სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში (შემდგომში ცნობილ სამეცნიერო-საკვლევ გაერთიანება „მიონში“). ეს იყო მიკროელექტრონიკის აღზევების ხანა. სწორედ იქ მიიღო მან საწყისი გამოცდილება მიკროსქემოტექნიკაში. მას, როგორც საკვლევ ლაბორატორიის ინჟინერს, შემდგომში კი უფროს ინჟინერს, დაევალა საპასუხისმგებლო პროექტში ჯგუფის ხელმძღვანელობა - ბიოპოტენციალების მამლიერებლის შესაქმნელად მიკროელექტრონული შესრულებით, კოსმონავტებზე ტელემეტრიული დაკვირვებების ჩატარების მიზნით. 3 წლის ინტენსიური მუშაობის შემდეგ, ასეთი მამლიერებელი (თხელფენოვანი მიკროელექტრონული შესრულებით) შექმნილ იქნა პირველად საბჭოთა კავშირში და გამოიყენებოდა კოსმოსურ ბიოტელემეტრიაში. ამ პერიოდში გამოიკვეთა გურამ ლეჟავას, როგორც მკვლევარ ინჟინრის შემდეგი თვისებები: დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, პასუხისმგებლობის მაღალი შეგრძნება, დეტალებისადმი მაქსიმალური ყურადღება, ინოვაციებისადმი ღიაობა და სხვა.

მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვნად გამოადგა გ. ლეჟავას შემდგომში ქ. მოსკოვში ასპირანტურაში სწავლის დროს 1969-1972 წწ-ში, სადაც მუშაობდა ბიოელექტრული მართვის სისტემების პრობლემატიკაზე იმ საკვლევ ლაბორატორიაში, რომლის კოლექტივს 1971 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია ბიოელექტრულად მართვადი პროთეზების შექმნისათვის. 1972 წლის ბოლოს გ. ლეჟავამ წარმატებით დაიცვა დისერტაცია ბიოელექტრული მართვის საკითხებში და მიენიჭა ტექნ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

შემდგომში მისი სამეცნიერო-პედაგოგიური და საინჟინრო მოღვაწეობა ძირითადად დაკავშირებულია სპი-სთან (შემდგომში სტუ-თან), სადაც იგი ნაყოფიერად შრომობდა 1972 წლიდან რადიოტექნიკის კათედრაზე ჯერ ასისტენტის, შემდეგ კი უფროსი მასწავლებლისა და დოცენტის თანამდებობაზე, ხოლო 1976-1987 წწ-ში იყო ამ კათედრის გამგე, შემდგომში, ამავე კათედრის პროფესორი.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა ახალი სპეციალობის - „რადიოაპარატურის კონსტრუირების და წარმოების“ ჩამოყალიბება და სათანადო საინჟინრო კადრების მომზადება - „რადიოტექნიკის“ და „რადიოკავშირის და რადიომაუწყებლობის“ სპეციალობების პარალელურად. სამივე სპეციალობის მრავალი კურსდამთავრებული დღესაც წარმატებით მოღვაწეობს არა მარტო რესპუბლიკის სატელეკომუნიკაციო სფეროში და სხვადასხვა დაწესებულებებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მისი თაოსნობით ქ. თბილისში შეიქმნა რადიოტექნიკის კათედრის სამი ფილიალი დარგის წამყვან საწარმოებში - „მიონში“, თბილისის სატელევიზიო და რადიო ქარხნებში, რომლებიც წარმატებით ფუნქციონირებდნენ 1990-იან წლებამდე, ცნობილი მოვლენების დაწყებამდე.

გ. ლეჟავას კათედრის გამგედ მუშაობის პერიოდში, საფუძველი ჩაეყარა „თეორიულ რადიოტექნიკაში“ სპი-ს შრომების კრებულის გამოშვებას. მისი უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა სამეცნიერო-ტექნიკური სერვის ცენტრი „მონოლიტი“, რომელმაც სხვადასხვა დაკვეთით შეასრულა საინტერესო საინჟინრო სამუშაოები რადიოელექტრონიკაში. 1986-1991 წწ-ში გ. ლეჟავა იყო ამ ცენტრის დირექტორის მოადგილე.

მისი უშუალო მხარდაჭერით 1993 წელს საფუძველი ჩაეყარა შპს „გურამექს“, რომლის თანადამფუძნებელიც თვითონ გახლავთ. ამ მცირე საინჟინრო საწარმოში ძირითადად გაერთიანდნენ რადიოტექნიკის კათედრის ნიჭიერი კურსდამთავრებულები, რომლებმაც მოკლე დროში შეძლეს, რომ შეექმნათ და

მომხმარებლისათვის წარედგინათ მრავალფუნქციური, თანამედროვე, სატელევიზიო-სასტუდიო აპარატურა - ვიდეო მიქშერებისა და სპეცეფექტების მოწყობილობების სახით, რომლებმაც პოპულარობა მოიპოვეს და პრაქტიკულად გამოიყენება არა მარტო საქართველოს თითქმის ყველა სატელევიზიო კომპანიაში, არამედ თურქეთის, ინდოეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სატელევიზიო სტუდიებში.

მისი სამეცნიერო მოღვაწეობა შეიძლება პირობითად სამ ეტაპად დაიყოს. პირველი მიეძღვნა ბიოელექტრული მართვის სისტემების და სათანადო მოწყობილობების შექმნას. მეორე - უკავშირდება რადიოტექნიკის სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის მიკროელექტრონული სიხშირულ-სელექციური მოწყობილობების პროექტირების, განის დიოდზე მომუშავე ზემადალი სიხშირის კვანძებს, რადიოტალღების გავრცელებას და სხვა. მესამე ეტაპი ძირითადად 2000 წლის შემდეგ, ეძღვნება სატელეკომუნიკაციო ბაზრის ინფრასტრუქტურის შესწავლას, საინფორმაციო საზოგადოების კრიტერიუმების დადგენას, ე.წ. *ციფრულ დაყოფას* და სათანადო სერვისების განაწილებას და მარკეტინგის საკითხებს. ეს ბოლო ეტაპი ბუნებრივად უკავშირდება მის წარმატებულ საქმიანობას (1999-2009 წწ) შპს „საქართველოს ტელეკომში“ მარკეტინგისა და გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის, შემდგომში კი - დირექტორის პოსტზე.

ბ-ნი გ. ლეჟავა მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონფერენციაში, სიმპოზიუმსა თუ სემინარში. მის მიერ მომზადებულ სტუდენტებს და მაგისტრანტებს რამდენჯერმე აქვთ მიღებული უმაღლესი შეფასებები სხვადასხვა კონფერენციაში. იგი 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია და რამდენიმე საავტორო მოწმობას ფლობს. (*იხილეთ დანართი*)

არანაკლებ მნიშვნელოვანია გ. ლეჟავას საერთაშორისო ურთიერთობები და მონაწილეობა სხვადასხვა ასეთ პროექტში. ჯერ კიდევ ყოფილ საბჭოთა კავშირში, საერთაშორისო გაცვლითი ურთიერთობების დასაწყისში, მან გაიარა სათანადო კონკურსები და 1975-1976 წლებში იყო ტორონტოს უნივერსიტეტის ელექტრო საინჟინრო ფაკულტეტის სტაჟიორი, ხოლო 1979-1980 წლებში აშშ-ში არიზონის და შემდეგ კალიფორნიის უნივერსიტეტებში ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას მიკროელექტრული სელექტიური მოწყობილობების პროექტირების პრობლემატიკით. შემდგომში 1995-1997 წლებში მონაწილეობდა *ლექტორ-ტუტორის* სტატუსით TACIS-ის მიერ თბილისში ორგანიზებულ ე.წ. PACT-ის პროგრამაში (სახელმწიფო მოხელეთა კოლეჯში).

გ. ლეჟავა წარმატებით მონაწილეობდა, აგრეთვე, TEMPUS-TACIS-ის პროექტებში 1997-1998 წლებში სტუ-ის საინჟინრო პროგრამების რესტრუქტურისა და განახლების მიმართულებით მანჩესტერის და ლიმერიკის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. ვაშინგტონის ამერიკული უნივერსიტეტის დაკვეთით გ. ლეჟავას შესრულებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი. წლების განმავლობაში (1998 წლიდან) იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ატლანტა, აშშ), რომელიც გახლდათ კავკასიის ბიზნესის სკოლის შექმნის მათგანიზებელი კონსორციუმის ძირითადი ძალა (სტუ და თსუ-თან ერთად).

გარკვეული პერიოდი (1991-1994 წწ) იგი საქმიანობდა ამერიკულ-ქართულ ერთობლივ საწარმოში - „Georgian Lottery“, საქართველოში ელექტრონული ლატარეის სისტემის ორგანიზების მიზნით, ტექნიკური მენეჯერის პოზიციაზე.

უდავოდ აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მისი უშუალო მონაწილეობით, ევრაზიის ფონდის ხელშეწყობით, საქართველოს მარკეტინგის ასოციაციამ შეძლო გამოეშვა პირველად საქართველოში უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ქართულენოვანი სახელმძღვანელო - შეიძლება ითქვას სამაგიდო წიგნი მარკეტინგში - კოტლერის და ამსტრონგის „მარკეტინგის საფუძვლები“, რომელშიც ავტორებთან შეთანხმებით შესულია ძალზე საინტერესო ქართული ბიზნეს-სიტუაციები და ჩანართები, რაც განსაკუთრებით ღირებულს ხდის მას ქართული მკითხველისთვის. აღნიშნული გამოცემა აღიარებულ იქნა 2007 წელს, როგორც საუკეთესო ნათარგმნი სახელმძღვანელო საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში, სათანადო მატერიალური ჯილდოთი. შემდგომში განხორციელდა ამ სახელმძღვანელოს განახლებული ვერსიის ხელახალი გამოშვება ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ. გ. ლეჟავა აქტიურად მონაწილეობდა მარკეტინგის ამ ასოციაციის ჟურნალის - „მარკეტინგი საქართველოსთვის“ გამოცემაში, ასევე სათანადო ბიზნეს-სიტუაციების (ქეისების) შესაქმნელად გამართულ კონკურსებში.

სხვადასხვა წლებში გ. ლეჟავას გავლილი აქვს სათანადო ტრენინგები ბელფასტში, მოსკოვში, მანჩესტერში, ატლანტაში და ა. შ. 2001 წელს მიწვეული იყო, როგორც საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) ექსპერტი მინსკში ჩატარებულ სემინარზე. იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და რიგი მედლებით. 2007 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრად.

და მაინც, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი დამსახურება საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული საგანმანათლებლო დაწესებულების „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ (შემდგომში *კავკასიის უნივერსიტეტი*) შექმნასა და განვითარებაში. იგი ამ სკოლის დაარსების დღიდან (1998 წელი) იყო ჯერ თანადირექტორი, შემდეგ დეკანის მოადგილე, ხოლო 2005 წლიდან კავკასიის უნივერსიტეტის თანადამფუძნებელი და მისი ვიცე-პრეზიდენტი მატერიალური რესურსების განხრით. ეს საქმიანობა უნივერსიტეტის პრეზიდენტის (მისი უდავო ლიდერის) კახა შენგელიას და თანადამფუძნებლების სახით, წარმოადგენს კარგ მაგალითს წარმატებული გუნდური მუშაობისა, შესატყვისი შედეგებისა და რეპუტაციის მოპოვების როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, არამარტივ კონკურენტულ გარემოში.

საზოგადოებრივი აქტივობის მხრივ გამოსაყოფია მისი ჩართულობა გუდაურის კურორტის განვითარების საწყის ეტაპზე სამთო-სათხილამურო სპორტული სკოლის მუშაობის ხელშეწყობაში, შესაბამისი გასვლითი ტურების (წვრთნების) ორგანიზების კუთხით. აღნიშვნის ღირსია ასევე, თანამოაზრეებთან ერთად, ისეთ ეგზოტიკურ პროექტში მონაწილეობა და სათანადო კონკურსში გამარჯვება, რომელიც გულისხმობდა საქართველოში ჰაერნაოსნობის წამოწყებას საჰაერო ბურთებით და პირველი საცდელი ფრენების განხორციელებას საქართველოსა და თურქეთში 2000-იანი წლების დასაწყისში. ხაზგასასმელია აგრეთვე მისი დაინტერესება ქართული (კავკასიური) ნაგაზის გამრავლებასა და პოპულარიზაციაში, სათანადო გამოფენებში მონაწილეობით და კონკურსებში რიგი გამარჯვებებით.

ყოველივე ზემოთქმული სამართლიანად იძლევა საშუალებას ითქვას, რომ ბატონ გურამ ლეჟავას მრავალმხრივ დაინტერესებაზე და აქტიური ცხოვრების წესზე, ახალგაზრდებთან საერთო ენის გამონახვის უნარზე, ობიექტურობასა და პრინციპულობაზე. მიუთითებს მის შესაძლებლობებზე, დაამყაროს თანამოაზრეებთან მჭიდრო ურთიერთობები, ხოლო მეგობრებთან და კოლეგებთან კი, ურთიერთთაგების და სიახლოვის განცდა შექმნას.

დანართი: გურამ ლეჟავას 2000-იანი წლების პუბლიკაციები

1. გ. ლეჟავა „კავშირგაბმულობის სფეროში ლიბერალიზაციის და პრივატიზაციის პროცესების თანმხლები პრობლემები და ნეგატიური ტენდენციები საქართველოში“. ამერიკული უნივერსიტეტის TraCCC-ის პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევა, თბილისი, 2003.
2. გურამ ლეჟავა - „პრობლემები და ეკონომიკური სამართალდარღვევები საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორში და მათი შესაძლო დარეგულირების გზები“. ამერიკული უნივერსიტეტის TraCCC-ის პროგრამა: „ეკონომიკური დანაშაული და ფულის გათეთრება საქართველოში“. კონფერენციის მასალები, გვ.109-136. თბილისი, 2004, 29-30 ივნისი.
3. გურამ ლეჟავა, გელა ბუთბაია - „საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის ჩამოყალიბება, მისი განვითარების დინამიკა და პერსპექტივები: ჟურნალი „მარკეტინგი საქართველოსთვის“, თბილისი, ზაფხული, 2005, გვ. 6-13.
4. გურამ ლეჟავა „გლობალური საინფორმაციო საზოგადოების კრიტერიუმები, მასში გადასვლის მიმართულებები და ეტაპები“. ჟურნალი „მარკეტინგი საქართველოსათვის“, თბილისი, შემოდგომა, 2005, გვ. 8-16.
5. Case-Study – “JSC Georgian Electrical Communication; The Way to Success”. Case prepared by Guram Lezhava (GTU) and Boris Lezhava (CSB) for Eurasia 2004 case writing competition. Lessons from the, Real World: Collection of Business Case Studies from Georgia. Tbilisi, 2006, pp 20-34.
6. Teaching Notes for the Collection of Business Case Studies from Georgia – JSC Georgian Electrical Communication: The Way of Success-by Boris Lezhava (CSB) and Guram Lezhava (GTU) Tbilisi, 2004, pp 8-12.
7. ო. ზუმბურიძე, გ. ლეჟავა, - „ციფრული დაყოფის დაძლევის აუცილებლობა საინფორმაციო საზოგადოების შექმნის გზაზე“, ჟურნალი „Georgian Engineering News“ თბილისი, N2, 2006, გვ. 110-116.
8. О.Т. Зумбуридзе, Т.Б. Лежава, М.А. Зибзибадзе - "Динамика развития телекомму - никационного рынка Грузии и глобальное информационное Общество. Сборник трудов Международной Академии Связи“ – Инфокоммуникации XXI века, Том VI, книга 2, МАС, Москва, 2006 с. 183-198.
9. ო. ზუმბურიძე, გ. ლეჟავა, მ. ზიბზიბაძე - „საქართველოს საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ბაზარზე ტარიფების სრული ლიბერალიზაციის შედეგები“ ჟურნალი „მარკეტინგი საქართველოსთვის“, თბილისი, შემოდგომა, 2007 (ჩაბარებულია რედაქციაში).
10. O. Zumburidze, G. Lezhava – “The Issue of Formation of Global Information Society, Digital Divide and Trends of Georgian Telecommunication Market”. NATO Conference in Tbilisi-Security and Integrity-March, 2007.

11. Guram Lezhava – “Global Information Society, Digital Divide and Digital Opportunities of South Caucasus Region Against the Background of Creation of Postindustrial and Global Information Society”. Caucasus University’s Scientific Papers, Tbilisi, 2008, 37-48.
12. Guram Lezhava, Boris Lezhava – “Assessment of Competitive Ability of Education Institution and it’s Visualization”. Caucasus University’s Scientific Papers. Tbilisi, 2012, 25-36.
13. Guram Lezhava, Didim Butskhrikidze – “Digital Divide in the Global Information Society and it’s Measurement with Adequate Mathematical Methods”. Caucasus University’s Scientific Papers, Tbilisi, 2012, 160-174.
14. Guram Lezhava, Boris Lezhava – “The Scattering Curve and it’s Derivative in the Process of Competition Study”. Caucasus University’s Scientific Papers, Tbilisi, 2013, 18-33.
15. Guram Lezhava, Boris Lezhava – “Discussion of the Economic Activity and Economic Apathy in the Public by Means of the Mathematical Apparatus of Scattering Curves”. Caucasus University’s Scientific Papers, Tbilisi, 2015, 19-35.
16. Guram Lezhava, Boris Lezhava – “Use of Scattering Carves When Assessing Social Aid to be Provided to Poorer Population Groups be the State”. Caucasus University’s Scientific Papers, Tbilisi, 45-59.
17. Guram Lezhava, Boris Lezhava – “Use of Scattering Curves for the Social-economic Process Analysis in the Society”. Caucasus University’s Scientific Papers, Tbilisi, 31-45.

Guram Lezhava

Guram Lezhava was born on April 5, 1943, in a family of higher education workers. Father - *Boris Lezhava* was the dean of the Transport Faculty and Head of the Department of Rolling Stock, first at the Institute of Transcaucasian Railway Engineers, and then at the *Polytechnic Institute of Georgia (GPI)*. Mother - *Tamar Meskheli* worked as a docent at the Department of Labor Safety and Ventilation of Mines at GPI.

After graduating from Tbilisi No. 1 secondary school (now gymnasium), in 1960, Guram Lezhava continued his studies in the newly opened radio engineering department at *GPI*.

Guram Lezhava started his engineering career after graduating from *GPI* with honors in 1966, at the special design bureau set up in Tbilisi at that time (later known as Scientific-Research Union "Mion"), where he gained his first experience with microcircuit technology. This was the era of the rise of microelectronics. As an engineer of the research laboratory, and later as a senior engineer, he was assigned to lead a group in an important project - to create an amplifier of biopotentials with microelectronics, to provide telemetric observation of cosmonauts. After 3 years of intensive work, the first Soviet amplifier (with a thin-film finish) was created and used in space biotelemetry.

During this period, Guram Lezhava's following qualities as of a research engineer became prominent: his ability to complete tasks on time, strong sense of responsibility, keen attention to detail, openness to innovation and others.

The experience he gained was significantly useful to G. Lezhava during his post-graduate studies in Moscow in 1969-1972, where he worked on the challenges of bioelectric control systems in the research laboratory; the team was awarded the state prize in 1971 for the creation of bioelectrically controlled prostheses. At the end of

1972, G. Lezhava successfully defended his dissertation on the issues of bioelectrical control and was awarded the scientific degree of Candidate of Technical Sciences.

His subsequent scientific-pedagogical and engineering work is primarily connected to *GPI* (later *GPU*), where he actively worked from 1972 as an assistant, senior teacher, and docent at the Department of Radio Engineering. From 1976 to 1987, he served as the head of the department before becoming its professor.

Under his direct leadership, the establishment of a new specialty - Radio equipment construction and production - and the training of appropriate engineering personnel were carried out in parallel with the "Radio Engineering" and "Radio Communication and Radio Broadcasting" specialties. Many graduates from each of the three specialties are employed successfully not only in the Republic's telecommunications industry and in numerous institutions, but also outside it.

Under his leadership, three branches of the radio engineering department were established in Tbilisi in the leading enterprises of the field: "Mioni", Tbilisi TV and radio factories, which operated successfully until the 1990s, before the infamous events.

During the period of G. Lezhava's administration, the foundation was laid for the publication of the collection of *GPI* works in "Theoretical Radio Techniques". With his direct participation, the scientific-technical service center "Monolit" was formed, which performed interesting engineering works in radio electronics. In 1986-1991, G. Lezhava served as the deputy director of the Center.

With his direct support in 1993 "Guramex" Ltd was founded, with him being its co-founder. This small engineering enterprise primarily brought together talented graduates of the Department of Radio Technology, who, in a short period of time, were able to create and offer customers multifunctional, modern, television-studio equipment - video mixers and special effect devices that quickly gained popularity and were used not only in almost all Georgian TV studios, but also in TV studios in Turkey, India, and other countries.

His scientific work can be divided into three stages. The first was dedicated to the creation of bioelectric management systems and appropriate devices. The second is related to various issues of radio technology, including the design of micro-electric frequency-selective devices, high frequency nodes working on the Gunn diode, radio waves and more. The third stage is dedicated to the study of telecommunications market infrastructure (mainly after the year 2000), the establishment of the information society criteria, the so-called *digital division* and the distribution of appropriate services and marketing issues. This final stage is naturally linked to his successful tenure (1999-2009) as the Deputy Director, and later as the Director, of “Telecom Georgia” Marketing and Sales Department.

Mr. Lezhava participated in a number of international and republic conferences, symposiums and seminars. Students tutored by him have received the highest evaluations at various conferences several times. He is the author of more than 40 scientific papers and several copyright-holder. (*See Appendix*)

G. Lezhava's contribution to international relations and his participation in various projects of this kind are no less important. Even in the former Soviet Union, when international exchange relations were emerging, he became a winner of relevant competitions and in 1975-1976 became an intern at the Faculty of Electrical Engineering at the University of Toronto, and in 1979-1980 he was engaged in scientific activities related to designing microelectrical selective devices at the universities of Arizona and then California, the USA. Later, in 1995-1997, he participated as a *lecturer-tutor* in the so-called PACT program organized by TACIS in Tbilisi (in the State Servants College).

In 1997-1998, G. Lezhava successfully participated in TEMPUS-TACIS projects with a view to restructuring and renewing STU engineering programs in cooperation with Manchester and Limerick Universities. G. Lezhava has completed several scientific works on the order of the American University of Washington. Over the years (since

1998), he closely cooperated with Georgia State University (Atlanta, USA), which was the driving force behind organizing a consortium (together with STU and TSU) for establishing Caucasus School of Business.

In 1991-1994, he worked as a technical manager in the American-Georgian joint venture "Georgian Lottery" the aim of which was organizing electronic lottery system in Georgia.

It is undoubtedly noteworthy that, with his direct involvement and the help of the Eurasia Foundation, the *Georgian Marketing Association* was able to publish the first edition of *Kotler and Armstrong's "Basics of Marketing"*, a must-read book in marketing. In agreement with the authors, very interesting Georgian business case studies and insertions are included in the book, which makes it especially valuable for Georgian readers. This edition received an appropriate material award in 2007 for being the best translated textbook in the education field of Georgia. Subsequently, an updated version of this book was published by Bakur Sulakauri Publishing House. G. Lezhava actively participated in the publication of the magazine of this marketing association - *"Marketing for Georgia"*, as well as in the competitions held to create appropriate case studies.

G. Lezhava received appropriate trainings in Belfast, Moscow, Manchester, Atlanta, etc. In 2001, he was invited as an expert of the *International Telecommunication Union (ITU)* to a seminar held in Minsk. He was awarded the Order of Honor and a number of medals. In 2007, he was elected a member of the Engineering Academy of Georgia.

And yet, his contribution to the creation and development of one of the most highly rated educational institutions in Georgia, *"Caucasus School of Business"* (later *Caucasus University*) is worthy of special mention. Since the establishment of this school (1998), G. Lezhava was first the co-director, then the deputy dean, and since 2005 the co-founder and its Vice-President of Caucasus University for Material Resources. This achievement with an immense contribution of the University's president (its undisputed leader) and co-founder Dr. Kakha Shengelia, is a perfect example of

successful teamwork, best team performance and outstanding reputation gained both in Georgia and abroad in an increasingly competitive environment.

In terms of public work, we should mention G. Lezhava's role in promoting the work of the mountain-ski sports school at the beginning of the Gudauri resort development, where he organized appropriate field trips (trainings). It is also worth noting that in the early 2000s, he, along with his colleagues, took part and won an exotic project, which entailed launching aeronautics in Georgia with hot air balloons and conducting the first test flights in Georgia and Turkey. G. Lezhava's interest in breeding and promoting the Georgian (Caucasian) shepherd and facilitating to their participation in appropriate exhibitions, where they won a number of competitions, is also worth emphasizing.

All of the above rightly allows us to say that Mr. Guram Lezhava's multifaceted interest and active life, his ability to find a common language with young people, his objectivity and principledness indicate his ability to establish close relationships with like-minded people, and to create a feeling of mutual understanding and closeness with his friends and colleagues.

Appendix: Guram Lezhava's publications of the 2000s

1. გ. ლეჟავა „კავშირგაბმულობის სფეროში ლიბერალიზაციის და პრივატიზაციის პროცესების თანმხლები პრობლემები და ნეგატიური ტენდენციები საქართველოში“. ამერიკული უნივერსიტეტის TraCCC-ის პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევა, თბილისი, 2003.
2. გურამ ლეჟავა - „პრობლემები და ეკონომიკური სამართალდარღვევები საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორში და მათი შესაძლო დარეგულირების გზები“. ამერიკული უნივერსიტეტის TraCCC-ის პროგრამა: „ეკონომიკური დანაშაული და ფულის გათეთრება საქართველოში“. კონფერენციის მასალები, გვ.109-136. თბილისი, 2004, 29-30 ივნისი.
3. გურამ ლეჟავა, გელა ბუთბაია - „საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის ჩამოყალიბება, მისი განვითარების დინამიკა და პერსპექტივები: ჟურნალი „მარკეტინგი საქართველოსთვის“, თბილისი, ზაფხული, 2005, გვ. 6-13.

4. გურამ ლეჟავა „გლობალური საინფორმაციო საზოგადოების კრიტერიუმები, მასში გადასვლის მიმართულებები და ეტაპები“. ჟურნალი „მარკეტინგი საქართველოსათვის“, თბილისი, შემოდგომა, 2005, გვ. 8-16.
5. Case-Study – “JSC Georgian Electrical Communication; The Way to Success”. Case prepared by Guram Lezhava (GTU) and Boris Lezhava (CSB) for Eurasia 2004 case writing competition. Lessons from the, Real World: Collection of Business Case Studies from Georgia. Tbilisi, 2006, pp 20-34.
6. Teaching Notes for the Collection of Business Case Studies from Georgia – JSC Georgian Electrical Communication: The Way of Success-by Boris Lezhava (CSB) and Guram Lezhava (GTU) Tbilisi, 2004, pp 8-12.
7. ო. ზუმბურიძე, გ. ლეჟავა, - „ციფრული დაყოფის დაძლევის აუცილებლობა საინფორმაციო საზოგადოების შექმნის გზაზე“, ჟურნალი „Georgian Engineering News“ თბილისი, N2, 2006, გვ. 110-116.
8. О.Т. Зумбуридзе, Т.Б. Лежава, М.А. Зибзибадзе - "Динамика развития телекомму - никационного рынка Грузии и глобальное информационное Общество. Сборник трудов Международной Академии Связи“ – Инфокоммуникации XXI века, Том VI, книга 2, МАС, Москва, 2006 с. 183-198.
9. ო. ზუმბურიძე, გ. ლეჟავა, მ. ზიზიბაძე - „საქართველოს საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ბაზარზე ტარიფების სრული ლიბერალიზაციის შედეგები“ ჟურნალი „მარკეტინგი საქართველოსათვის“, თბილისი, შემოდგომა, 2007 (ჩაბარებულია რედაქციაში).
10. O. Zumburidze, G. Lezhava – “The Issue of Formation of Global Information Society, Digital Divide and Trends of Georgian Telecommunication Market”. NATO Conference in Tbilisi-Security and Integrity-March, 2007.
11. Guram Lezhava – “Global Information Society, Digital Divide and Digital Opportunities of South Caucasus Region Against the Background of Creation of Postindustrial and Global Information Society”. Caucasus University’s Scientific Papers, Tbilisi, 2008, 37-48.
12. Guram Lezhava, Boris Lezhava – “Assessment of Competitive Ability of Education Institution and it’s Visualization”. Caucasus University’s Scientific Papers. Tbilisi, 2012, 25-36.
13. Guram Lezhava, Didim Butskhrikidze – “Digital Divide in the Global Information Society and it’s Measurement with Adequate Mathematical Methods”. Caucasus University’s Scientific Papers, Tbilisi, 2012, 160-174.
14. Guram Lezhava, Boris Lezhava – “The Scattering Curve and it’s Derivative in the Process of Competition Study”. Caucasus University’s Scientific Papers, Tbilisi, 2013, 18-33.
15. Guram Lezhava, Boris Lezhava – “Discussion of the Economic Activity and Economic Apathy in the Public by Means of the Mathematical Apparatus of Scattering Curves”. Caucasus University’s Scientific Papers, Tbilisi, 2015, 19-35.

16. Guram Lezhava, Boris Lezhava – “Use of Scattering Curves When Assessing Social Aid to be Provided to Poorer Population Groups by the State”. Caucasus University’s Scientific Papers, Tbilisi, 45-59.
17. Guram Lezhava, Boris Lezhava – “Use of Scattering Curves for the Social-economic Process Analysis in the Society”. Caucasus University’s Scientific Papers, Tbilisi, 31-45.